

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“  
საქართველოს კანონის პროექტზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, რომლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური არაუგვიანეს 2010 წლის 1 აპრილისა რეორგანიზებულ უნდა იქნეს და ჩამოყალიბდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირად (შემოსავლების სამსახური).

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია არ შეეზღუდოთ შემოსავლების სამსახურის შესაბამის მოსამსახურეებს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება შემოსავლების სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეორგანიზაციის შემდეგ.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური გარდაიქმნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირად, რომელიც იქნება ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ი. ამასთან ამ სსიპ-ის

თანამშრომლები აღარ ჩაითვლებიან ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისადაც, სამსახურებრივ საშტატო იარაღის ტარების უფლება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილი მოხელეების ნაცვლად, ექნებათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის უფლებამოსილ პირებს.

გარდა აღნიშნულისა, რედაქციული ცვლილება ხორციელდება კანონის მე-20 მუხლის პირველ პუნქტშიც, სადაც ზუსტდება, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული რეგულაცია ეხება ფინანსთა სამინისტროს მთელ სისტემას, მათ შორის მის მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ-ებს.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებისათვის ფისკალურად ნეიტრალურია.

### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშვება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

**ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირობის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ ზეგავლენას პირებზე, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორია:

პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორია:

პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი